ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ, ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ; ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲚᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲦᲔᲡ

№ 34 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 16 1898 წ. № 34

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: სხვა და-სხვა ამბავი.—„კავალის“ კორესპონდენციები.—თხზულებანი შამია გურიელისა (შემდეგი) ივ. გომართელისა —მესმის ლექსი კ. გოგოლაძისა — წერილი ქუთაისიდან არიძისა. — არხიმედი.— მგზავრის შენიშვნები ფ. პატრიშვილისა.—წერილი შვეიცარიიდან დ. თოფურიძისა. - ეს ძველი ფულია (შემდეგი) სოფლის კაცისა.—წერილი რედაქციის მიმართ.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

№№ VII & VIII „ᲯᲔᲯᲘᲚᲘᲡᲐ“ გამოვიდა და დაფრიგდება ხელის მომწერლებს.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ახლანდელ პირობებში მუშის ცდაა, რაც შეიძლება, ნაკლებ დროს მეტი საფასი აიღოს. ამ მიზანს იმდენათ უფრო ადვილათ უახლოვდება მუშა, რამდენათაც მისი ქვეყანა მრეწველობით განვითარებულია. მრეწველობის განვითარებას თან დაჰყვება მუშათა რიცხვის გამრავლება, მათი თავის მოყრა. ეს კი გამოიწვევს ძმური დამოკიდებულობის სურვილს, გაუადვილებს მათ თავის მდგომარეობის შეგნებას და მით ამა თუ იმ წადილის განხორციელებას. ეს სხვათა შორის იქიდანაც ჩანს, რომ სადაც მრეწველობა განვითარებულია, იქ მუშა ნაკლებსაც მუშაობს და მეტ ფასსაც იღებს. ყველაზე უფრო მოკლე სამუშაო დღე არსებობს ავსტრალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. შტატების მთავრობამ საჯაროთ მიიღო საზოგადო სამუშაოებზე მარტო რვა საათის მუშაობა დღეში. ბევრ კერძო სამრეწველო დაწესებულებებში იგივე სისტემაა მიღებული. კონეკტიკუტის შტატში კანონიერათ ითვლება რვა საათიანი სამუშაო დღე. თუ ვინმე მეტს იმუშავებს, ამისთვის განსაკუთრებულ სასყიდელს მიიღებს. ქარხნებში თერთმეტი საათი დღის მუშაობა მაქსიმალურია, იმაზე გადაცილება აღარ შეიძლება.

პურის საცხობებში და რკინის გზაზე მოსამსახურეთათვის დადგენილია ათი საათის მუშაობა. ავსტრალიაში არ არის კანონით გადაჭრილი დრო, მარა კანონი რა საჭიროა, როცა ჩვეულება მაზე უფრო ძლიერია. ჩვეულებით-კი აქ მიღებულია დღეში ცხრა საათის მუშაობა. მარა ასში სამოცდა ხუთი სამრეწველო დაწესებულება მუშას დღეში ამუშავებს მარტო რვა საათს.

ინგლისში თან-და-თან შემოიღეს სახემწიფო და ქალაქის სამუშაოებზე რვა საათი სამუშაო დღე. შვეიცარიაში კანონით უმაღლესი სამუშაო დღე თერთმეტ საათიანია, მარა უფრო ხშირათ, მხოლოთ 10 საათს მუშაობენ, ავსტრიაში ქარხნებში მიღებულია კანონით 11 საათის მუშაობა, რუსეთში კი $11^1/_2$.

—

ამ ბოლო დროს ჩვენში ძრიელ გახშირდა სეტყვა. თითქმის ყოველ დღე შეგხვდებათ გაზეთში

სახელმწიფო

ამბავი, ეს და ეს სოფელი გაანადგურა სეტყვამ, ხალხი მშიერი დარჩებაო. ამისთანა ბუნებრივ უბედურებას უსათუოთ საერთო ძალით უნდა ბრძოლა. აი, საყურადღებო ცნობა: ბოლგარიაში შემოულიათ სახელმწიფო დაზღვევა მოსავლისა სეტყვისგან. ჩვენ აქ დაწერილებით არაფერს ვიტყვით ამ საგანზე, მარა ეს დიდათ საყურადღებო საგანი კია. ბოლგარიაში დიდი სარგებელიც მოუტანია. ჩვენშიაც საჭიროა აღიძრას ეს კითხვა. ჯერ კერძოთ უნდა გამოირკვეს საქმე. ჩვენ დღეს არავითარი სტატისტიკური ცნობებიც არ გვაქვს, რომ ვიცოდეთ რამდენი ზარალი მოაქვს სეტყვას. ეს კი ვიცით მხოლოთ, რომ ზარალი დიდია და რამდენიც დრო გადის, თან-და-თან მატულობს.

—

„Вѣстникъ винод.“ წერენ პეტერბურგიდან, მელიორატიული სესხი ამიერ კავკასიის მკვიდრთაც მიეცემათო. მელიორაცია წარმომდგარია სიტყვიდან განკარგება, გაუმჯობესება. მელიოროციას შეადგენს ყველა ღონისძიება, რომელიც მიმართულია მეურნეობის გასაუმჯობესებლათ, სხვათა შორის რომ მეურნეს შეეძლოს საქმე გააძლიეროს, იმას სახელმწიფოდან ეძლევა სესხი. ჩვენში იქნება სესხი მარტო მეღვინეობისთვის, ამისთანა სესხისთვის ვადაცაა დადებული: მეევნახეობისთვის—15 წელიწადი, სარდაფების და მარნების მოსაწყობათ, აგრეთვე მეღვინეობისთვის საჭირო იარაღების ერთხნათ შესაძენათ—10 წელიწადი, ღვინის გასაკეთებელ იარაღებისთვის ცალკე შესაძენათ—შვიდი წელიწადია.

—

გაზეთებში მოყვანილია ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ვალი აღევს თავად-აზნაურების მამულს რუსეთში. ციფრები გვიჩვენებს, რომ ვალი თან-და-თან იზრდება. უმეტესათ კი პოლონეთში, სადაც მიწებზე მეტათ დიდ სესხს იძლევა სახელმწიფო ბანკი.

—

ბათუმის საბჭოს ახალი არჩევნები მოხდება ღვინოსთვის უკანასკნელ რიცხვებში.

—

უკვე გამოუქვეყნებიათ ფოთის ამომრჩეველთა სია. ამომრჩეველთა რიცხვია სულ 313. მათში ქართველობა—216, რუსი, პოლონელი, გერმანელი და ებრაელი—64, სომეხი—18, ბერძენი 10; სხვა-დასხვა დაწესებულებას 5 ხმა აქვს.

—

„ახალი მიმოხილვის“ სიტყვით თფილისის ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკებმა უკვე მიიღეს წესდება, რომლის კვალობაზე წარმომადგენლობა უნდა იქმნას შემოღებული. მარა ჯერ არავითარი განკარგულება არ მოუხდენიათ ამ წესდების სისრულეში მოსაყვანათ, რადგან ფინანსთა სამინისტროდან მოელიან დარიგებას, როგორ უნდა მოიქცენ ამ საქმეში.

„კვალის“ კორესპონდენციები.

ᲡᲘᲦᲘᲓᲐᲜ. ცუდი დრო დაუდგა ჩვენ სოფლებს: ბუნება ხომ კარგა ხანია შემოწყრა, წვრილწვრილმა ჩარჩ-მოვაჭრეებმა უკანასკნელი ქონება გამოაცალეს და ახლა ჩვენი ქალაქის თვითმმართველობაც ამხედრდა სოფლელებზე და თავის მოურავის და მის თანაშემწის წინამძღოლობით იერიში მიიტანა მასზე და სრულებით განდევნა კიდევაც ქალაქიდან. პირველ კრების გახსნისთანავე მოურავმა წინადადება შეიტანა ბაჟი დავადვათ ყოველ სოფლიდან შემოტანილ ნაწარმოებსო. თორმეტმა ხმოსანმა სიამოვნებით მიიღო თავის ბრძანებელი მოურავის წინადადება და დააწესეს გადასახადი ყოველ შემოტანილ სანოვაგეზე, მასალაზე, მასალის შემომტანელ ურემზე, გასაყიდათ შემორეკილ საქონელზე და ყველაზე, რასაც კი სოფლელი მოიტანს ქალაქში. დაადგინეს ბაჟი და ქალაქის მამებმა თავისუფლათ ამოისუნთქეს: ეგონათ ბაჟი ვაჭრობასაც გააძლიერებდა და კიდევ დიდ შემოსავალსაც მისცემდა ქალაქს. საქმით სულ სხვა გამოვიდა. სოფლელნი ბაჟს შემოფთხენ, ნაწარმოების შემოტანა შეამცირეს, ქალაქში სანოვაგეზე და სოფლის ნაწარმოებზე ფასმა იმატა და შემოსავალმა კი ხარჯის ამკრეფის ჯამაგირიც ვეღარ დაფარა. ქალაქის მამებმა ეს ვერ შეიგნეს და შარშან დადგენილი გადასახადი წელს იკოტავეს და ერთი ორათ გაადიდეს. ამასთანავე 18 მაისს მომხდარ კრებაზე, მოურავმა თავის შესანიშნავ მოხსენებაში დაუხატა ხმოსანთ სურათი ვაჭრობის დაცემისა და მოვაჭრეთა დაძაბუნებისა. ვაჭრობის გასაძლიერებლათ და მოვაჭრეთა გასამდიდრებლათ მოურავის აზრით აუცილებლათ საჭირო იყო სოფლელ მწარმოებელთა ქალაქიდან განდევნა. ამიტომ საჭიროთ დაინახა სოფლელებისათვის აღეკრძალათ მოედანზე ვაჭრობა. რაკი სოფლელთ, რომელნიც ეზიდებიან სიღნაღში ყოველ თავის ნაწარმოებს და იაფ-ფასათ ყიდიან, აეკრძალებათ ვაჭრობა, მაშინ მოვაჭრენი მოგვყიდიან მომეტებულ ფასათ, ამითი ისინი გამდიდრდებიან და ჩვენც არა გვიშავსრაო. ეს საკვირველი აზრი უსაკვირველესი მოურავისა კრებამ დააკანონა. ამ მცირე საკენკით ყველანი მოტყუვდენ მარტო ერთი ხმოსანი არ დასთანხმდა მოურავის პროექტს და ცალკე საჩივრით მიმართა უმაღლეს მთავრობას, სადაც როგორც, გაეიგეთ

მიუმართავს მაზრის უფროსსაც, ამ ქალაქის თვითმმართველების არაშესაფერებელ დადგენილებას ნუ დაამტკიცებთო, მიუხედავათ ხმოსნისა და მაზრის უფროსის თხოვნისა თვითმმართველობის დადგენილება დაუმტკიცებიათ და მოურავის „პროექტი“ დაუკანონებიათ. თავისი სასურველი „პროექტი“ 26 მკათათვეს ასრულებაში მოაყვანინა ბოქაულს. კვირას 26, დილით ბოქაულმა გამოუცხადა ხალხს დღეიდან თქვენ აგეკრძალებათ აქ ვაჭრობაო. ხალხს ჯერ ტყუილი ეგონა. მარა როდესაც ბოქაულმა განკარგულება მოახდინა და „ვოროდოვოები“ დაესიენ ბრძანების ასასრულებლათ, მაშინ კი სიმართლეზე ეჭვი გაუქრათ და გაეშურენ თავიანთ სოფლებისაკენ. სოფლელნი ხომ გულდათუთქულნი დაბრუნდენ შინისკენ, მარა თვით მოქალაქენიც მეტის მეტათ აღელდენ ამ განკარგულებით. ამ სოფლების ქალაქიდან განდევნამ ხელათ სიძვირე ჩამოაგდო ქალაქში

ამ ნაირათ სოფლელმაც დაკარგა ბაზარი, ქალაქის მკვიდრთაც მოაკლდათ კარგი სანოვაგე, რაც იშოვება, ისიც გაუძვირდათ. მაშ, ვინ მოიგო? იმ ორმა სამმა ჩარჩებმა, რომელნიც სოფელ-სოფელ დაწანწალებენ და ცდილობენ სოფლელს ადგილზევე გამოაცალონ ნახევარ ფასათ მისი ნაოფლარი. ახირებული მოვლენაა, თქვენმა მზემ.

ქიზიყელი-იმერელი.

—

ქიზიყი. გავიდა მკათათვეც. მკაც დამთავრდა და ლეწვაც თან მოსდევს. წელს არა უშავსრა პური საკმარისი მოგვდის, თუმც იმაზე ცოტა შეიტანა ხალხმა სახლში, რისაც გაზაფხულზე იმედი ჰქონდა. მოსავალი მოვიდა და ჩარჩ ვაჭარნიც დაესიენ სოფლებს. რადგან ალაგობრივი ადმინისტრაცია ნებას არ აძლევდა მოვაჭრეებს კალოებზე ვაჭრობისას, იმათ სხვა ხერხი იხმარეს: გამოძებნეს სასარგებლო კანონი და უნდათ უკანონობა დააკანონონ. კანონი უკრძალავს მოვაჭრეთ სავაჭროს სულადზე გაცვლას და რომ ამ კანონისათვის გვერდზე აევლოთ მოვაჭრეთ, გამოაცხადეს ჩვენ ფულზე, ნაღდზე ვვაჭრობთ და არა ხორბლეულობაზედაო. ამ ხრიკით ნებართვა აიღეს და ახლა როგორც უნდათ, ისე დანავარდობენ კალოებზე. მართლაც სავაჭროს სულადზე (ხორბლეულობაზე) არა ჰყიდიან, მარა ფულის მაგიერათ სულადს კი იღებენ. აი, როგორ ხდება ეს გაყიდვაც და არა გაყიდვაც. გლეხი მოურიგდება ვაჭარს ჩითეულს ფულათ და რადგან ფული არა აქვს, ეუბნება: აი, მე ხომ შენ 5 ან 7 მანათი უნდა მოგცე, წამო და 3, 4 და მეტი კოდი პური მიიწყე ჩემ კალოზედაო. ვაჭარიც მიდის და უშველებელი ჩანახით ხორბალს იწყავს. როგორ მოგწონთ ეს სიბრძნე მოვაჭრეთა და სიფრთხილე ადმინისტრაციისა?!

ქ.—ი.

თხზულებანი მამია გურიელისა.

(შემდეგი) *)

გიორგის სიკვდილს შემდეგ დინასტიური ბრძოლა უფრო გამწვავდა, რადგანაც ყველა მემკვიდრეთ რაცხდა თავის თავს. სამშობლოს კეთილდღეობა აღარც ერთ მეფის შთამომავლობას აღარ ახსოვდა; ყველა პირადი, დაბალი ინტერესებით იყვენ გატაცებული 1). იულონი და ფარნაოზი ხალხს ძალას ატანდენ, ჩვენ შემოგვფიცეთო, და, ვინც უარს განაცხადებდა, ან მათ დასს არ ეკუთვნოდა, ათას გვარ შევიწროებას აყენებდენ. 1801 წ. 6 აგვისტოს ლაზარევი წერდა კნორრინგს: „ჩემი აზრით საუკეთესო საშუალება (საქართველოს დასამშვიდებლათ) ბაგრატიონთა გვარის აქედან გაძევება არის. სანამ ის აქ იქნება, უწეს-რიგობას ბოლო არ მოეღებაო“. აი, მეტათ მკრთალი სურათი ჩვენი ცხოვრებისა მეთვრამეტე საუკუნის ბოლო ხანებში. ჯერ თვით ირაკლიმ დაუყო მამული თავის შვილებს, რომ უკეთ მოევლოთ. გიორგის დროს დინასტიური ბრძოლა საშინლათ გამწვავდა, რადგანაც ტახტის მემკვიდრეობის კანონი არ არსებობდა და ყველა კაციც და ქალიც მეფის გვარეულობიდან ერთმანეთს ეცილებოდენ, არა მე უნდა ვიყო მეფეთ, არა მეო; ყოველ მათგანს თავისი საკუთარი მომხრეები ჰყავდა ქვეყნის საცარკვავათ და მოძმეების სისხლის საღვრელათ.

„საქართველოში სრული თვითნებობა და ძალმომრეობა სუფევდა. სიტყვას—კანონს ყოველი მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა. ქვეყნის მართვა-გამგეობა დესპოტიურ ხაოსს წარმოადგენდა. მთავრობა და ადმინისტრაცია, როგორც კი შეეძლოთ, ხალხს ჰყვლეფავდენ“ 2). ყველა ადმინისტრატიული მოხელეობა მამიდან შვილზე მემკვიდრეობით გადადიოდა; ჯამაგირი არავის ეძლეოდა დ ყოველისფერს გლეხის კისრიდან იღებდენ. საზოგადოებრივი წეს-წყობილება არ არსებობდა, გარდა მოპირდაპირე ელემენტებისა, რომლებიც ერთმანეთს ორმოს უთხრიდენ. გლეხობა

*) იხ. „კვალი“ № 33.

1) Берже. Присоедин. Грузіи къ Россіи. русская старина 80 г. № 5, 6, 7.

2) ibid.

ქონებრივათ გალატაკებული იყო და საქართველოს პოლიტიკურათ სიცოცხლე შეუძლებელი ხდებოდა იმერეთი და გურია-სამეგრელოც უკეთეს სურათს არ წარმოადგენდენ. თუ კი მიწაზე მოფთხნილი სამეგრელოს მთავარი შუა ცეცხლს ეფიცხებოდა, ხალხის ცხოვრება რალა იქნებოდა! ამგვარი წეს-წყობილება ადმინისტრაციაში, ანარხია — მთავრობაში მარტო მეთვრამეტე საუკუნის ნაყოფი არ იყო: ისტორიულმა მსელელობამ მიიყვანა საქართველოს ცხოვრება ამგვარ დასკვნამდე. საქართველოს აღსადგენათ ამგვარი დამღუპავი ელემენტების აღმოფხვრა იყო საჭირო; მათი აღმოფხვრა კი საქართველოს თავისი საკუთარი ძალით არ შეეძლო. საჭირო იყო სწორეთ deus ex maschina... გადმოდგა საქართველომ მეცხრამეტე საუკუნეში ფეხი, პოლიტიკურათ მოკვდა, სამაგიეროთ გარეშე მტერი გაბრუნდა, დინასტიური ბრძოლა მოისპო, გადამტერებული ნაწილები დაშოშმანდენ; გარეგანი და შინაური მყუდროება დამყარდა. გლეხი თავის ჩვეულებრივ მუშაობას შეუდგა. თავად-აზნაურობამ კი ძველი მნიშვნელობა დაჰკარგა. ვინც ღიუარსაბივით შინ ჯდომა არ ისურვა, სამხედრო და საერო სამსახურს მიაშურა; სამსახურისათვის კი საჭირო იყო სწავლა, განათლება. ამიტომ ჯერ თავადაზნაურობაში დაიწყო მოძრაობა სასწავლებლისკენ; თუმცა მაშინდელი განათლება მაღალი ღირსებისა არ ყოფილა, მაგრამ სულ არაობას ხომ ჯობდა. განათლების საჭიროება თანდათან ძლიერდებოდა, მსურველთა რიცხვიც მატულობდა. სკანდელს უკვირს, რომ მეორმოცდაათე წლების ახალგაზდობამ მარტო გარეგნობას მიაქცია ყურადღება და ამიტომ ლანძღავს მას [3]). დღევანდელი ახალგაზდობაც თუ მხოლოთ გარეგნობით იკვებება, გასაკვირია, მაგრამ მეორმოცდაათე წლების ახალგაზდობა თუ მარტო გარეგნობის მეტს ჯერ ვერას ხედავდა, ამაში გასაოცარი არაფერი არის. პირქით სრულიად ბუნებრივი შედეგია ახალი ხანისა ქართველობის ცხოვრებაში. როდესაც პეტრე დიდმა რუსეთს დასავლეთი ევროპა გააცნო, მთელი ასი წელიწადი რუსეთი მართლა მარტო გარეგნობით იკვებებოდა. მეოცდაათე წლებში, რუსეთის ცენტრ—მოსკოვში, უმეტესობას სულ გარეგნობით გატაცებული პირები წარმოადგენდენ; ჩაცკები კი ის იყო აქა-იქ ჩნდებოდენ და ახალ თაობის ტიპათ მხოლოთ მეორმოცე წლებში გადიქცენ. ქართველობა მართლა რა ასეთი მაღალი გონების პატრონი იყო, რომ სრულიად უჩვეულო ცხოვრებას შეხვდა პირისპირ და ორმოცდა ათი წლის განმავლობაში ამ ახალი ცხოვრების არსებითი თვისება, ძალა და მნიშვნელობა საესებით შეეგნო, გარეგნობას ქვეშ ერთბაშათ სხვა უფრო დიადი რამ შეემჩნია, მას დაწაფებოდა და მომზადებულიყო კიდეც?...

მოწინავე პირები, რომლებიც მაშინ ჩვენი ცხოვრების სათავეში იდგენ, კარგათ ხედავდენ, რომ ძველი, მამულის დამღუპველი ელემენტები თანდათან ისპობოდენ, ისტორიული ევოლიუცია ჩვეულებრივ გზას ადგებოდა; ქართველობა პროგრესიული ცხოვრებისაკენ მიიწევდა. მათ იფიქრეს: ჩვენ თუ ხალხს ხელი შეეუწყეთ ამ გზაზე სასიარულოთ, დაეხმარეთ, თავისი ინტერესები, უფლებანი შეეგნებიეთ, გაჩნდება ახალი საიმედო ელემენტები, საზრიანათ და მტკიცეთ მოეხვეჭავეთ კეთილდღეობას და დაცემულ მამულს აღვიდგენთოთ. გაჩნდენ ჩვენში სხვა აზრის და მიმართულების მამულის შვილები, რომლებიც ხალხის ბედნიერებისა და ეროვნული იდეის შესისხლხორცებისათვის საუკეთესო საშუალებათ სწავლა განათლების გავრცელება, ბატონ-ყმობის მოსპობა, ეკონომიური წარმატება, ეაჭრობა-მრეწველობის ხელის შეწყობა და სხვა მიაჩნდათ. რომ უკეთ შეეგნოთ, რა იყო ხალხისათვის დროის შესაფერათ უფრო საჭირო, ისინი თვალ-ყურს ადევნებდენ რუსეთის ცხოვრებას და ყოველი პროგრესიული მოძრაობა იქაური შეძლებისადაგვარათ ჩვენში გადმოჰქონდათ, მცირეოდენი ცვლილებით, მაგრამ ცხოვრებაც იცვლება და დროის შესაფერი ცვლილება რწმენასა და შეხედულებაში საჭირო კი არა, აუცილებელიც არის. იმ დროდან მოკიდებული ამგვარი იდეა ჩვენ მოღვაწეებს დღემდის ამოქმედებსთ. საქართველოში არ იყო თეატრი. ჩვენმა მოღვაწეებმა დააარსეს თფილისში თეატრი და ახლა საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებშიაც კი იბადება სცენის მოყვარეთა გუნდები, რომლებიც ხალხს წარმოდგენას უმართავენ. „ლიტერატურამ უნდა დაისახოს ცხოვრებასთან დაკავშირებული ლოგიკური მიზანი“, ამბობს დანიის კრიტიკოსი ბრანდესი. ბოლო ხანებში კი ჩვენში ლიტერატურა სამასხარაო ხელობათ მიაჩნდათ, ვარდბულბულის მღერა და „საყვარელო, ეშხი შენი მადნობს, ნუ მომკლავ“ ერთათ ერთ ჭეშმარიტ და საპატიო პოეზიათ. ახალმა ხანამ კი წარმოშობა მწერლები, რომლებმაც შეიგნეს თავისი დანიშნულება, ლიტერატურა ცხოვრებას დაუკავშირეს, დაიწყეს ამ ცხოვრების ახსნა, სხვა-და-სხვა პრაქტიკული კითხვების წამოყენება, გადაჭრა და დროის შესაფერი აზრების ცხოვრებაში გატარება. ჩვენმა ლიტერატურამ ამგვარი მიზანი დღემდის შეირჩინა და დღეს მას უფრო ვრცელი სარბიელი აქვს, ვიდრე აქამდის, დაიწყო რუკეთში მოძრაობა გლეხობის გასათავისუფლე-

[3]) კრებული 71 წ. № 2.

ბლათ. ამ მოძრაობამ ჩვენშიაც იჩინა თავი. ჩვენშიც აღორძინდენ დასები, თუ შეიძლება ეს სახელი ეუწოდოთ იმ პატარა წრეებს, რომლებიც მაშინ საზოგადო ასპარეზზე გამოვიდენ სამოღვაწეოთ და გლეხობის განთავისუფლებას ნიადაგის მომზადება დაუწყეს. ისინი ცდილობდენ, ბატონ-ყმობა მოესპოთ და „საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავად-აზნაურობის წარმატების პრინციპი დაემკვიდრებიათ“ [4]). ხელოვნურმა ლიტერატურამაც ხმა ამოიღო და სარტ-მენტალურ ტენდენციური გზა აირჩია. განთავისუფლდა გლეხობა და ამას თან მოჰყვა ხალხის გასანათლებლათ ზრუნვა, ნელა ნელა სასწავლებლების გახსნა სოფლებში. სამოღვაწეო ასპარეზზე ახალი მოძრაობა დაიწყო, რომელიც უარჰყოფდა წოდებათა განკერძოებით ყოფნას მხოლოთ ერთი რომელისაც წოდებისათვის ზრუნვას და მისი სიმპატია ყველასათვის ერთნაირი უფლების მინიჭებისა და დემოკრატიული წეს-წყობილებისაკენ იყო. ხელოვნურმა ლიტერატურამაც მიმართულება იცვალა და რეალურ გზას დაადგა [5]).

მეცხრამეტე საუკუნემდის ქართველობა სოფლის ხალხი იყო. დღეს კი ქართველობა თანდათან ტოვებს მამა-პაპეულ კერას და ქალაქებისაკენ მიეშურება, მოქალაქეობრივ ცხოვრებას ჰკიდებს ხელს. ეს მიმდინარეობა ქართველობისა, სოფლებიდან ქალაქებ საკენ, რამდენიც დრო გადის, იმდენი უფრო მატულობს, იზრდება. თუ მეორმოცე წლებში საქართველოს დედაქალაქში ქართველობა მეხუთედი ძლიეს იყო, დღეს თითქმის ნახევარია. საქართველოს ყოველ ქალაქში შედარებითი რაოდენობა ქართველთა და სხვა ტომთა შორის თანდათან კლებულობს ე. ი. ქართველობა მატულობს, რიცხვით სხვა ტომს უთანასწორდება და შემდეგ, მგონი, კიდეც გადაჭარბოს. დღეს ქართველობა სამშობლოს ვიწრო ფარგალსაც გაცილდა და განჯაში, ერევანში, ბაქოში მიეშურება; ამასაც აღარ ჯერდება და ზღვას იქითაც კი მიდის ბედის საძებნელათ.

მეცხრამეტე საუკუნემდის ქართველობაში ეაჭრობა—მრეწველობა უკნობი ხილი იყო. თვით ის გარემოება, რომ ჩვენში მუდმივი ჯარი არ არსებობდა [6]), ომის დროს ყველა, ვისაც კი შეეძლო, ჯარში უნდა გამოსულიყო, ყოველ გამოკვლევაზე უფრო ცხადათ მტკიცდება, რომ ეაჭრობა-მრეწველობა არა თუ არ არსებობდა, შეუძლებელიც იყო ამგვარ წეს-წყობილებაში. განვითარები დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხის ტენდენცია სამხედრო ცხოვრებისაკენ არის. ეს ტენდენცია ჩვენმა ერმა დამოუკიდებლობის უკანასკნელ ჟამამდე შეინარჩინა, — ნებით თუ უნებურათ ეს სულ ერთია· ფაქტი ფაქტათ რჩება ორსავე შემთხვევაში —; სანამ ეს ტენდენცია არ დასუსტდებოდა, ეაჭრობა ჩვენი ხალხის გულში არ დაბადებოდა. მეცხრამეტე საუკუნეში ეს ტენდენცია თანდათან დასუსტდა, გლეხების გათავისუფლებას შემდეგ თავის თავს ყველა თითონ დეპატრონა, ეაჭრობასა და მრეწველობას ნიადაგი მოუმზადდა, აღორძინდა, თანდათან ვითარდება, ძველ ცხოვრებას არღვევს, სხვა და სხვა წოდებას ადგობს ერთათ, რომ ჩამოასხას ის ელემენტები, რომლებიც ევროპამ დაბადა და ქართველობას აევროპიელებს. ეს გარემოებაც სხვასთან ერთათ ნათლათ ამტკიცებს, რომ ჩვენი ცხოვრება უკან და უკან კი არა, თანდათან წინ მიდის. კონტის აზრით სამხედრო მიდრეკილების დასუსტება და ეაჭრობა მრეწველობის აღორძინება ორგვარი შედეგია პროგრესიული მოძრაობისა. მამია ადგდებს და თითქმის ერთათ ერთ უმთავრეს საბუთათ ის მოჰყავს, რომ საქართველო მაშინ თავისუფალი იყო; მისთვის კი სიტყვა „თავისუფლება“ ყოველგვარი პროგრესისა და კეთილ-დღეობის გამომხატველია. მე არ მესმის, რას ნიშნავს ძველი საქართველოს თავისუფლება, როდესაც ქართლში სხვა მეფე იყო, იმერეთში სხვა, კახეთში სხვა, სვანეთში, გურიაში, სამეგრელოში თავთავისი მთავრები და გარდა ამისა ყოველ სამეფოში ერისთავები, რომლებიც დამოუკიდებლობას ცდილობდენ. ამისთანა თავისუფლება განა თავისუფლებაა, ერის პროგრესის ხელს შემწყობი? ეროვნულ გრძნობას თავისუფალი საქართველო მოკლებული იყო (თავის დაცვის ინსტინქტი პირუტყვსაც კი აქვს!); დღეს თან-და-თან ებადება. ეროვნული თავმოყვარეობა დღემდის ქართველებს თითქმის არ ჰქონდათ; ეროვნული თავმოყვარეობაა, როცა იმერელი გურულს ჰქელავდა, ქართლელი კახელს? როცა თითონ ქართველებს შემოჰყავდათ ლეკები და სპარსელები და მამულს აოხრებინებდენ? ეროვნული თავმოყვარეობის ბრალი იყო, როცა ქართლის სამეფო გვარეულობის წევრები სპარსეთს პირობას აძლევდენ: ოღონ ტახტი ჩვენ მოგვეცით და ყოველ წლივ ათასობით საუკეთესო ქალ-ვაჟს მოგართმევთო და თავის პირობას სინდისიერათაც ასრულებდენ? როცა გურია-სამეგრელოს მთავრები ხშირათ საუკეთესო ქალვაჟებს ჰკრეფდენ და ოსმალეთში ჰყიდდენ? მხოლოთ დღეს იბადება ეს ეროვნული თავმოყვარეობა. დღემდის ქართველობა ერთობის იდეას მოკლებული იყო. საერთო

---

[4]) იხ. „ᲙᲕᲐᲚᲘ“ 97 წ. № 46.

[5]) ibid.

[6]) ᲘᲠᲐᲙᲚᲘ II ᲓᲐᲡᲐᲠᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲡᲔᲒ ᲓᲐᲘᲨᲐᲚᲐ.

ერთმანერთში გურულს, მეგრელს, იმერელს, ქართლელს, კახელს და სხვ. არა ჰქონდათრა; ისინი ერთმანეთის მტერი იყვენ და ხშირათ მოსისხლე მტერიც. ახლა ისინი ერთმანეთისათვის საჭირო ხდებიან, ერთმანეთში საერთო ინტერესები ებადებათ, ეს ინტერესები თან-და-თან ძლიერდებიან, აახლოვებენ ერთი მეორეს საქართველოს სხვა-და-სხვა ნაწილებს და მათ გაერთიანებას თანდათან აუცილებელ საჭიროებათ ხდიან; მათთვის უერთმანეთოთ ცხოვრება თან-და-თან შეუძლებელი ხდება,—ერთობის იდეაც იბადება და ძლიერდება. დღეს გონებრივათ და ქონებრივათ ქართველობა დღითი დღე წინ მიდის, გაევროპიელების გზას ადგია, რის შესახებაც ირაკლი II მხოლოთ ოცნებობდა: ჩვენ ეროვნებას ნიადაგი კი არ ეცლება, პირიქით ასე მტკიცე, როგორც დღეს, სხვა დროს არც კი ჰქონია და, თუ ამ გზით ვიარეთ, რაშიც ეჭვი აღარ არის, ორგული, რამდენსაც უნდა ცდილობდეს და ლაპარაკობდეს, ამ ნიადაგს ვერ დაგვისუსტებს, რადგანაც მას ისტორიული პროცესი აშენებს და ამაგრებს. ახლა უკან მივიხედოთ და ჩვენ თავს დავეკითხოთ, როგორი ბიჯი წადგა წინ საქართველომ მეცხრამეტე საუკუნეში? პატარა ევროპასთან შედარებით, რაც ის იყო მეთვრამეტე საუკუნის ბოლო ხანებში. ჩვენი დროის ქართველობა დღითი დღე მეტ იმედს იძლევა, დღითი დღე უფრო ემჩნევა, რომ მომავალი აქვს; ის აღარაფერში აღარ გავს თავის მეთვრამეტე საუკუნის წინაპარს, რომელიც სასიკვდილო სენით იყო შეპყრობილი; ერთი ათიოდე წელიწადიც და მასთან მხოლოთ გადმოცემით ლა იქნება შეერთებული, მეტით აღარაფრით. მეცხრამეტე საუკუნის ქართველობამ საკუთარი ძალღონით მოირჩინა მემკვიდრეობით გახრწნილი და დასნეულებული ორგანიზმი, გადაარჩინა თავი მოსპობას, გაქრობას და ახლა თან-და-თან წელში იმართება, მისი ცხოვრება მოწინავე ერთა ცხოვრებას ემზგავსება, ქონებრივათ და გონებრივათ ევროპიელდება. ამიტომ ხმა მაღლა ღაღადი: საქართველო დიდებული იყო წარსულში და ახლა დაეცაო, მხოლოთ საქმის გაუგებრობაა.

იგ. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

მესმის.

მესმის მწარე გმინვა-ოხვრა,
ეს ნიშანი მწარე სევდის,
მესმის მოთქმა, მესმის კვნესა,
მესმის წყევლა თავის ბედის!..
და ეს სასტიკ მწველი ხმები
ლახვარსავით გულში მწვდება,
მეც მაკვნესებს, ცრემლებსა მგვრის,
დამწველ ცეცხლით მეკიდება.

—

მესმის მღერა უდარდელი,
ლოცვა თვისი გაჩენის დღის,
მესმის სიცილ-ოხუნჯობა,
მესმის ტაში—ხმები ლხინის!..
ეს სიცილიც, იგი მღერაც,
იგი ლოცვაც, როგორც ზარი,
მწვდება გულში და შიგ შეაქვს
შხამ ნაღველი შესაზარი...

კ. გოგოლიძე.

წერილი ქუთაისიდან.

ჩაცხრენ ქუთათურები ქალაქის ხმოსანთა და მოურავის ამორჩევების მითქმა-მოთქმის საქმეში; შეჩერდა მათი გაცხარებული მაჯის ცემა და ბულვარ-გასართობებში აღარ ისმის ესოდენი ჩურჩულ-ჩურჩული და გახმოვ-გამოხმობიას აღარ ეწევიან არც ერთი მებრძოლთა წარმომადგენლები. ყველანი მილაგმოლაგდენ, ყველას გული საგულეს აქვს და ვნებათა ღელვებს აღარ ეძლევიან. მხოლოთ აქა-იქ თუ გაიგონებთ წრეს გარეშე დარჩენილ, ეგრეთ წოდებულ, „ნეიტრალების“ სჯა-ბაასს ქალაქის მომავალ მოღვაწეების შესახებ, თორემ ივნის-ივლისის გაცხარებულების კვალიც კი აღარსად არის. ასე მოკლე ხნიერი ყოფილა ჩვენ „საყარდო და სამაისო“ ქუთაისში მებრძოლთა აღელვება და დღესაც ასე ჩაატარეს მათ თავიანთი როლები, ასეთია ჩვეულებრივი ჩვენებური საქმიანობა და მათი ალმნუსხველი გაზეთის მექრონიკეთა ზნე-ჩვეულება. და თუ ჩვენ მათ ვერ ავყევით, მიზეზი ამისა თვით მებრძოლნი გახდენ იმით, რომ ყოველ თავის ნათქვამ-ნამოქმედარს, როცა ეს საჭირო იყო მარგალიტის თვალივით ათასნაირ ჩვარძონძებში ხვევდენ და მით გარეშე მეთვალყურეს სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეალებას არ გვაძლევდენ დაწვრილებითი მსჯავრი დაგვედვა მათ ავ თუ კარგ ნამოქმედარზე. განუსჯელათ კი, როგორც მოგეხსენებათ, თვით საუკეთესო წამლები და მათი მერეცეფტებიც უნიადაგონი რჩებიან ხოლმე, როგორც ფიზიოლოგიურ ავათმყოფობათა განკურნევაში, ისე მით უფრო სოციალურში, სადაც მოვლენათა სხვა-და-სხვა გვარობამ ასე გზააკვალი დაუბნია დღევანდელ ეგრეთ წოდებულ ინტელიგენციას საზოგადოო და კერძოთ ჩვენ თავისებურ ქუთათურ მის ნაწილს.

პირველი ნაბიჯი ახალი საბჭოსი მეტათ საგულისხმო დებიუტია ქალაქის საკეთილდღეოთ მოღვაწეობისა, თუ კი, რასაკვირველია, მის დაბოლოებას ისე თანხმობით ჩაატარებენ, როგორც ამ 3 მარიამობისთვის სხდომაზე. მართლაც ამ დღეს მეტათ საჭირ-ბოროტო საკითხები წამოაყენეს ქალაქის მომავალმა მოღვაწეებმა. პირველი და უსაჭიროესი მათგანი არის მილებით წყლის გამოყვანა, 2) დაარსება ქალაქის საავათმყოფოსი, 3) დაარსება საკუთარი აფთიაქისა, 4) საყასბოს, პურის და ხორცის ყიდვა-გაყიდვის გაუმჯობესება, 5) ძაღლებზე გადასახადის შემოღება და სხ.

ზემორე ჩამოთვლილ საკითხებში მილით წყლის გამოყვანა შეადგენს დღეს ქუთაისისთვის ყველაფერზე უსაჭიროეს საქმეს.

ყველამ კარგათ იცის, რომ მდინარე რიონი, რომლითაც მკვიდრი იკმაყოფილებს თავის ყოველგვარ მოთხოვნილებას, მთელი წლის განმავლობაში 4 თვეს არ არის დაწმენდილი, დანარჩენ 8 თვეს, როგორც გვაჩვენა უკანასკნელმა ბ. ივ. ტყეშელაშვილის ანალიზმა, 70 - 80₀/⁰ სხვა-და-სხვა გვარი ელემენტებია შიგ, რომელნიც ათას გვარ ავათმყოფობას უჩენენ ადამიანს. აი, რა გარემოებისათვის უნდა მიექცია ყურადღება დღემდე ქალაქის მკვიდრზე მზრუნველებს, მარა, როგორც გამგეობის მოხსენებიდან გავიცანით, ეს საკითხი მხოლოთ 1892 წელს აღუძრავთ, შეუდგენიათ კომისია, რომლისთვისაც დაუვალებიათ, რომ ქუთაისის გარშემო 12—15 ვერსის სიშორეზე აღმოეჩინათ წყაროს ან ღელის წყალი, რომლის მილებით გამოყვანას დაეკმაყოფილებინა მთელი ქუთაისი. კომისიასაც ასეთი წყალი უნახავს მე 12-ე ვერსზე ს. ქონეთში, მარა იმის გამოყვანა თურმე, მეტათ, ძვირათ უჯდებოდათ და, რადგან ძვირი და კარგი საქმე ქუთაისისათვის მარტო „pia desideria“-აა ამისათვის დღემდე ეს საქმე დავიწყებას ყუთში ყოფილა და დღეს კი ამ ნაბძოლარ ცხელ გულზე ოპოზიციამ გამოიტანა იგი ბნელი ყუთიდან და წაუყენა განახლებულ ძველ ქალაქის თავს გადასაწყვეტათ: აბა, შენ იცი და შენმა მხნეობამ; თუ ფხა გაქვს, ახლა გამოიჩინეო. იმასაც მარდათ უცლია ეს გუშინდელი მისი მოწინაალმდეგების მიერ გადაგდებული ხელთათმანი და, როგორც 3 მარიამობის თვის კრებამ დაგვანახა, მხნეთ შედგომია ამ საქმის დაგვირგვინებას და მოულოდნელი თანხმობით გადაწყვიტეს მოიწვიონ ხელახლა ცნობილი გეოლოგი კავკასიის მხარისა ბ. სიმონოვიჩი და მიანდონ მას 40—45 ვერსის მანძილზე ქუთაისის გარშემო გამოიკვლიოს წყლები, რომლის მილებით გამოყვანა შეიძლებოდეს ქუთაისამდე.

ამ საგნის შესახებ ხმოსნების ლაპარაკმა დაგვანახა, რომ ისინი ნაკლებათ იცნობენ ქუთაისის გარშემო მხარეებს და განსაკუთრებით რაჭა-ლეჩხუმ-სას, სადაც, მართალია, პატარ-პატარა მდინარეები მრავალზე მრავალია და წყაროები ხომ თითქმის ყოველ მეოჯახეს აქვს ეზოში, მარა 1) იმათში ისეთები არსად არის, რომ თითოეულმა დააკმაყოფილოს ქალაქი და მათი შეერთება, თავის მოყრა ყოვლად მოუხერხებელია ვეებერთელა მთა-გორების გამო. მეორე ეს წყლები წვიმების დროს თითქმის ყველა იმღვრევა, რადგან მთა-გორაკებზე ჩამოდის და მაშასადამე იმათაც დაწმენდა დაჭირდება. მესამე—რაც თავი და ბოლოა ქუთაისისათვის 20- 40 ვერსიდან წყლების გამოყვანა მეტათ ძვირათ დაჯდება და თუმცა მთავრობა ამ საქმისათვის ფულის სესხებას პირდება, მარა ნუ დაივიწყებენ, რომ ეს სესხი არც ისე გულუხვი იქნება, რომ ასე ფართო პროექტები განხორციელდეს. ბოლოს თუ არ დავივიწყებთ იმასაც, რომ 20—40 ვერსის მანძილზე წყლების გამოყვანაში ქალაქი ბევრ პრაქტიკულ დაბრკოლებებს ნახავს სოფლელების მხრით—ჩვენი აზრით საბჭო იმ დასკვნამდე უნდა მივიდეს, რომ ასეთი პროექტი წყლის გამოყვანისა შეუსრულებლათ უნდა იცნონ. მაშასადამე საბჭოს გადაწყვეტილება შესახებ წყლების აღმოჩენისა 20—40 ვერსის მანძილზე და ამისათვის 600—1000 მან. დახარჯვა სრულიად მეტი იქნება. ამას აჯობებს 2— 3 ვერსიდან რიონის წყლის გამოყვანას შეუდგებოდენ და გამოიკვლევდენ: რა დაჯდება მისი გაწმენდა. როგორც ვიცით რიონი შვენიერი წყალია სასმელათ; იგი არც ერთ სოფლის მდინარე-წყაროებს არ ჩამოუვარდება თვისი გემოთი, პირიქით, გარდა ქონეთის ღელისა, ყველა მათგანს ჯობია. მისი გამოყვანა კი, როგორც ადგილობრივი ინჟინერ-ჰიდრავლიკებიც მოწმობენ, ორჯერ-სამჯერ ნაკლები დაჯდება. თან რიონის წყლის გამოყვანა ადვილი იმითაც იქნება, რომ ქუჩების სარწყავათ მას დაუწმენდლათაც არა უშავს რა, რადგან იგი მთებში მომდინარეობს და სხვა ქალაქის მდინარეებივით ათასგვარი ხაშმის გამვრცელებელი არ იქნება.

მეორე და მესამე საკითხის შესახებ საბჭომ ერთხმათ გადწყვიტა დაარსება საავთმყოფოსი და აფთიაქისა, თუ კი მოსალოდნელი სესხი 30—40,000 მანეთი იკმარებს 50—60 ავთმყოფისათვისო. ამ მხრითაც ბევრ გაჭირვებას ითმენს ქუთაისის მკვიდრი, რადგან, თითოეროლა კერძო საავთმყოფოები ვერ აკმაყოფილებენ ამ ბოლო ხანებში ექიმების სიტყვით მის მოთხოვნილებას.

დღეს საჭურბორტოთ გამხდარა მეყასპეები და მეპურეები, რომელნიც უძაღლო ქეყანაში უჯოხოთაც არხეინთ დაირბინ-ან. მათ თავკასეულობას ბოლო არა აქვს. დღე ერთია და მუდამ მათი საჩივარი ათასი საბჭოში: ტაქსა მოგვმატეთ, რადგან საქონელი და ფქვილი გაეიაფირდა, თორა ეს არის ეიღუბებით, ეკოტრდებით და ფეჯრობაზე ხელი უნდა აეიღოთო. მარა ახლა მცხოვრებლების გაჭირვებული მდგომარეობაც იკითხეთ, რამდენს ითმენენ იმთვან. ძალიან დიდი კაცს გამოგზავნილი მზრეული უნდა იყოს, რომ „უდაეე კოთ“ რიკიანი ხორცი წაიღოს მეყასპესაკან და ტაქსის შესაფერი რიგიანთ გამომცხვარი პური მეპურისაგან. დღეს ტაქსას გამოცელიან და დაეკლებენ მეყასპეს: ესა და ეს ხორცი ასე გაყიდე და მეპურეს ამა და ამ ხარისხის პური ასეო, მარა ვინ არის ამსრულებელი? ტაქსა კეკეულზეა და მყიდველი რაც უნდა ემუდროს ერთს, ან მეორეს, იაირი მაინც დიდ ლეჩინს შემდეგ თავის ქონს ისრულებენ და რაც ვსურთ, ისეთ არ გაგატანენ შინ. ეი, ამ უწესრიგობის ბოლოს მოლებას შეუდგა ახლა საბჭო და კიდე გვიმეორებთ, რომ თუ ამათი, „ჩრიკები“ არ შეისწავლეს პრაკტიკულათ, მათი პროტოკოლების გადაწყვეტილების შედეგი ისეთივე იქნება, რითაც დღეს მცხოვრებლები იტანჯებიან.

ბოლოს გამგეობამ ერთი ისეთი საკითხი წამოაყენა, რომელმაც ზოგიერთი ჩვენებური ფუფუნებას მიჩვეული ხმანები გააკვირვა. ეს არის ძაღლებზე ბაეის შემოღება, რომლის შემოსავალი, რა თქმა უნდა, ქალაქის დაკარიელებულ კასას ვერას შემატებს, გარდა იმისა, რომ მცხოვრებლების დიახნის ათასგვარ საშიშ ბოროტებაგან და ესეც ბევრ შეღაეთია ისეთ უკულტურო ქალაქისათვის, როგორც ქუთაისია.

* * *

სენაკელი პედაგოგის ქუთთური ვგზირობის საქმე გადწყდა 1 მარიამობისთვე, არა მისდა სასარგებლოთ და ახლა მას, სხვა დროს აველაკობის არა მოაეარულს, ეს საქმე საბალაკოთ. გაეხდია, სადაც, იმედი აქვს, რომ ბნელ ოთახს ნათელზე შეუცელიან

ᲐᲠᲮᲘᲛᲔᲓᲘ



ᲐᲠᲮᲘᲛᲔᲓᲘ

ᲑᲔᲠᲘ რამეა ისეთი საბერძნეთის ცხოვრებაში, რაც დღევანდელ ადამიანს გააოცებს; მარა ყველაზე უფრო შესანიშნავია იქ განუსაზღვრელი თავაზნურულება სამშობლოს წინაშე. საბერძნეთი პატრიოტების ქეყანაა. ამ პატრიოტებში პირველი ადგილი უჭირავს „არხიმედს. ის არის ქალაქ სირაკუზის შვილი. სირაკუზი ბერძნების კოლონია იყო. საზოგადოთ ბერძნები, როგორც მოეკვრე და გამჭრიახი ხალხი, ეკუბდენ კარგ საცხოვრებელს, გამოსარჩენ ადგილებს და იქ თავის ახალშენებს აარსებდენ. ჩვენშიაც ბევრი იყო ასეთი კოლონიები. ასეთი იყო სირაკუზის ქალაქიც, გაშენებული ბერძნების მიერ სიცილიის კუნძულზე. არხიმედი დაბადა სირაკუზში

ᲣᲐᲜᲐᲚᲘᲡᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲮᲘᲛᲔᲓᲘᲡ.

287 წელს ქრისტეს მოსვლამდის. ის აღზარდეს იმ დროის საუკეთესო მეცნიერებმა. მისი მასწავლებელი იყო ევკლიდი, რომლის გეომეტრია დღესაც ხმარებაშია ინგლისის სკოლებში. განათლებული არხიმედი სირაკუზში იღვწოდა. მეცნიერების გულისათვის იმან ბევრი შესანიშნავი კანონები აღმოაჩინა. სხვათა შორის, აი, რა გამოიკვლია მან. ერთხელ არხიმედი აბანოში იყო. უეცრათ გარეთ გამოვარდა ტიტველი და ყვიროდა „ევრიკა“, „ევრიკა“, აღმოვაჩინეო. რა იყო ასეთი? როცა ის გავსებულ აუზში ჩაწვა, წყალი გადმოიღვარა და მ-სი ტანი ამჩატდა. როცა იმ წყლის რაოდენობა, რომელიც გადმოიღვარა, აწონა, გამოდგა, რომ სწორეთ იმდენათ ამჩატდა მისი სხეული, რამდენსაც იწონიდა მისი სხეულის ოდენი წყალი. ამ ნაირათ წყალსა, გინდა სხვა რამ სითხესა და სხეულს შუა არსებობს უცვლელი დამოკიდებულობა. მაგ., ოქრო მძიმეა მის სივრცე წყალზე ცხრამეტჯერ, ვერცხლი 10-ჯერ და სხვა. მარა სავსებით თავის ნიჭი არხიმედმა გამოიჩინა, როცა მის საყვარელ ქალაქს დაეცენ რომაელები. რომაელებს, რასაკვირველია, გაცილებით მეტი ჯარი ჰყავდათ, ხომალდებიც ბევრი ჰქონდათ და კარგათ მოწყობილი. ისინი ქალაქს გარსშემოერტყენ. გულგახეთქილი სირაკუზელები ყოველ წუთს მოელოდენ, აი, ესაა შემოგვესევა მტერი და აღსასრული დაგვიდგებაო. იმათ დავიწყებოდათ, რა გენიოსიც ჰყავდათ. აი, რას ამბობს პლუტარხი: არხიმედმა იხმარა თავისი მოგონილი მანქანები და რომის ჯარს თავზე აწვიმა უთვალავი ისრები და ქვები. ვერავინ უმაგრდებოდა ამისთანა ხერხს. იმან რომის ჯარი დას-დასათ დააგო მიწაზე და სასოწარკვეთილებაში მოიყვანა. მათ ფლოტსაც შავი დღე დააყენა. ხან სირაკუზის გალავნიდან გადმოეშვებოდენ ვეებერთელა მორები და ლეწდენ ხომალდებს; ხან გადმოწვდებოდენ ხომალდს რაღაცა რკინის თათები და გძელი ჩანგლები, რომელნიც ყირაზე დააყენებდენ ხომალდს და ჩალუპავდენ უფსკრულში; ხან რაღაც მანქანა დაატრიალებდა ხომალდს ერთ ადგილს და მერე გამოაგდებდა რიყეზე. ხომალდზე მყოფი ხალხი თითქმის სულ ილუპებოდა. მაშინდელი მწერლები იმასაც წერენ, რომ არხიმედმა რომაელ ფლოტს ცეცხლი გაუჩინა ასანთები მინებითო. ეს შესაძლებელიც არის. მე-18 საუკუნეში ბიუფონმა სცადა ეს. მან აიღო 168 ბრტყელი მინა და ისე მოაწყო, რომ მათი შემწეობით მზის სხივმა ცეცხლი გაუჩინა შეშას და დაადნო ტყვია 150 ადლის მანძილზე. სირაკუზელები სულ ერთიანათ შემოეხვიენ არხიმედს და მიენდვენ მის გონიერებას. იმედიც ჰქონდათ, რომ ის გამოიხსნიდა მათ რომაელებისაგან. რომაელები სულით დაეცენ. საკმაო იყო ერთი მორის შორიდან გამოჩენა, რომ ჯარში საშინელი დრტვინვა და არეულობა მომხდარიყო; მარა არხიმედის გამჭრიახობამ მაინც ვერ დაიცვა მისი სამშობლო. რომაელებმა ეშმაკობით აიღეს სირაკუზი. ერთ დღეს სირაკუზელები თავდავიწყებით დღესასწაულობდენ; ქალაქის დარაჯსაც კი ჩაძინებოდა ქეიფს შემდეგ. რომაელებმა ისარგებლეს ამ დღით და გადუხტენ სირაკუზელებს გალავანში. ტიტ-ლივიუსის თქმით, არხიმედი ამ დროს იჯდა მოედანზე ღრმათ ჩაფიქრებული და დაჰკვირვებოდა ქვიშაზე მოხაზულობას. მას თავს წაატყდა რომაელი მხედარი, რომელსაც არხიმედმა შეჰყვირა: ხელი არ ახლო ჩემ ფარგლებსო. მაგრამ ფარგალი კი არა, სულიც აღარ შეარჩინა იმ ველურმა მხედარმა.

მგზავრის შენიშვნები

ექვსი წლიდან ბავში უკვე სკოლაში უნდა მისცენ მშობლებმა. ვაჟი, ქალი — ეს სულ ერთია, სკოლა ორივესთვის სავალდებულოა და სკოლის გარეშე დარჩენა არავის შეუძლიან. პირველ დაწყებით სახალხო სკოლაში სწავლება მუქთია. ღარიბების შვილებს განსაკუთრებული შემწეობაც ეძლევათ. მაგალ., იმათ ეძლევათ სკოლაში მუქთი სადილი (Mittagssupe). სწავლა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება 12 საათამდის. შემდეგ კიდევ ნასადილევს 2-დან 5 საათამდის. ამ გვარათ ღარიბის შვილი მიდის დილით სკოლაში, სადილს იქ ჭამს და სახლში საღამოს 5 საათზე ბრუნდება. ამას გარდა სკოლის გამგეობა შეგირდების სისუფთავეზედაც ზრუნავს. ყველა სახალხო სკოლების მოწაფეები, როგორც ვაჟები, ისე ქალები, კვირაში ერთხელ აბანოში მიჰყავთ. ესეც მუქთია, მშობლები ამაში არაფერს იხდიან. მთავრობა ბავშების სკოლაში შეუწყვეტელ სიარულს სასტიკ ყურადღებას აქცევს. როცა რომელიმე შეგირდი გაკვეთილს გამოტოვებს და სკოლაში არ მივა, სკოლის მთავრობა ამას მაშინვე პოლიციას აცნობებს. პოლიციაც მეორე დღესვე მიდის მშობლებთან და უცხადებს, რომ თქვენი შვილი გუშინ სკოლაში არ ყოფილა, თავის გასამართლებელი საპატიო მიზეზი ჯერ არა წარმოგიდგენიათ რა; ამიტომ ინებეთ ან 8 დღე ციხე, ან 45 მარკის გადახდაო. როცა რაიმე მიზეზით ბავში სკოლაში ვერ მიდის, ეს დედ-მამამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სკოლის გამგეობას და თუ მიზეზი საპატიოა, ჯარიმა ასცდებათ. ასე და ამ გვარათ ბავში თითქმის მთელი დღე სკოლაშია. რაც რამე სასწავლებელია, ის სკოლაში სწავლობს. გაკვეთილების მიცემა, „აქედან აქამდი ისწავლეო“, ამის თქმა აქაურ სკოლაში არ

იციან. მასწავლებელი შეგირდს თუ რამეს „გაკვეთილათ“ აძლევს, – ეს უფრო ბავშის გასართობათ, საეარჯიშოთ, სკოლაში ნასწავლის უფრო უკეთ დასამახსოვრებლათ.

აქაურ სკოლის შეგირდს სახლში შესასრულებელი „უროკი“, გაკვეთილი არა აქვს, მარა ის მაინც შინ მეცადინობს. სკოლის წყალობით მას სწავლა შეძულებული არა აქვს. სახლში რომ მოდის, ერთ-ორ საათს თავის მეზობელ ტოლებთან თამაშობს ქუჩაში, შემდეგ შინ შემოდის და თავის წიგნებს ჩაჩერებია. ამ გვარი ბავშები, როგორც აქ, არსად მინახავს; ჩაფიქრებული, ჭკვიანი და დინჯი, შესანიშნავათ დინჯი. ათი წლის ბავში უკვე პოლიტიკაზე გელაპარაკება! და ეს იმის წყალობით, რომ ამაზე ლაპარაკი მას ხშირათ ესმის და თითონაც ადევნებს თვალს პოლიტიკას. სასიამოვნო საყურებელია, როცა ზის ის თავის სახლში, გაზეთი ხელში უჭირავს და ახალ ტელეგრამმებს კითხულობს. გაზეთი, როგორც ჩვენში, მეზობლიდან ნათხოვარი არაა. აქ გაზეთი ყოველ ოჯახში მოდის. ისე იაფია, რომ მისი გამოწერა ყველას შეუძლია. გამოდის დილით და საღამოს, რვა ფურცელი ქაღალდი სულ გადაჭრელებულია და ღირს თვეში—30—40 კაპეიკი.

საღამოა. შვილების მამა ახლა შემოდის სახლში, ის მთელი დღე გარეთ იყო. მან დილით ცოლშვილთან ყავა ერთათ დალია, შემდეგ თავის საქმეზე წავიდა. სადილათ სახლში არ მოსულა, სადმე რესტორანში მარტომ ისადილა. მთელი დღე სახლში არ იყო, მაგრამ მას მაინც შია, შემოსვლაზე ნამეტანი სიხარული არ ეტყობა. როცა ის სადმე ყავახანაშია, მუდამ ხუმრობს, მუდამ სახე უცინის. მაგრამ, როგორც კი თავის ცოლ-შვილთან სახლში შემოვა, მისი სახე „სერიოზნდება“, ღიმილი ეკარგება, ჩაფიქრებული და ცოტათი მკაცრი გამომეტყველებისაც ხდება. ეს უთუოთ იმიტომ, რომ აქაურს ოჯახში ძალიან მოწყენილობაა....

ცოლქმართ შორის მაინც და მაინც გულითადობა, გრძნობიერი ურთიერთობა არაა, პოეტურ სიყვარულს, რასაკვირველია, აქ ადგილი აღარ აქვს. ყოველ შემთხვევაში ცოლი უფრო გულითადობით და მორჩილებით ექცევა ქმარს. ეს კი უფრო ბატონობს და თავისი პიროვნების პატივის ცემას იჩენს. მიუნხენელ მამაკაცს, როგორც გერმანელს, არას დროს ცოლი თავის ტოლათ და ამხანაგათ არ მიაჩნია. თავის თავს ყოველთვის მაზე მაღლა აყენებს, —ცოლი უთუოთ დაბალი არსებაა. ამ არსებისთვის ღვთისგან და ადამიანისგან დადგენილი წმინდა მცნება, მისი აზრით, მორჩილება და ერთგულებაა. მიუნხენელი დიასახლიც ასეთი თვისებისაა.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ მეორე მხრით ქმარს თავისი მოვალეობა არას დროს არ ავიწყდება. ის მოვალეთ თვლის თავს, რომ ცოლ'შვილის შენახვაზე იზრუნოს და ამისთვის მთელ სიცოცხლეს მუდმივ შრომაში, მუდმივ ჯაფაში ატარებს. ამ მხრით ის მტკიცეთ ასრულებს თავის მეუღლურ და მშობლურ მოვალეობას.

მოვალეობის შეგნება და ასრულება, რასაკვირველია, კარგია, მხოლოთ უნდა ვთქვათ, რომ ამ მოვალეობის რაღაც განყენებულათ წარმოდგენას და მის შესრულებისთვის ზრუნვას ოჯახში ძალიან ცოტა გულის საზრდო, გრძნობათა დასაკმაყოფილებელი მასალა შემოაქვს. ის, რასაც სინაზეს, სინარნარეს, გულითადობას, გულის სითბოს, ეძახიან, აქაურ ოჯახს აკლია: მის წევრთა შორის რაღაც უფრო მშრალი ურთიერთობაა. მხიარულება, ღლიური ჭირვარამის დავიწყება აქ იშვიათია. ხან-და-ხან ქმარი ცოლს და შვილებს გართობის საშუალებასაც აძლევს, მაგრამ ამასაც ის მოვალეობის მიზეზით შვრება....

სამხიარულო და გასართობი ალაგი ოჯახი არცაა. ეს ოჯახს გარეთაა და ამას ლუდ-ყავახანა ჰქვია. ქმარსაც კვირა-უქმე დღეს იქ მიჰყავს თავისი ცოლი და შვილები გულის გადასაყოლებლათ, გასართობათ; ზაფხულობით კი ლუდხანას ქალაქში ან ქალაქს გარეთ მდებარე ბაღებში წასვლას არჩევს, მაგრამ ეს სულ ერთია,—აქაური ბაღიც იგივე ლუდხანაა ე. ი. ისეთი ადგილია, საცა აუარებელი ლუდი ისმება...

ცოლშვილით არის ის გარეთ გასული, თუ მარტო, სულ ერთია,—საღამოს სახლში ყოველთვის ადრე ბრუნდება. ცხრა საათზე აქ დიდი და პატარა ყველა იძინებს. 10 საათზე უკვე მთელ ქალაქს ძინავს. თეატრში წარმოდგენები ამ დროს თავდება. ამას შემდეგ ქალაქში მოძრაობა წყდება. ომნიბუსები 11 საათამდის დადიან, მაგრამ ისე— დალონლიალობენ, შიგ თითქმის აღარავინ ზის. თერთმეტ საათზე აქ მხოლოთ ყავახანის გადაჭარბებულათ მოტრფიალე ახალგაზდობას არ ძინავს. ადრე დაძინება და დილით ადრე ადგომა –ეს მიუნხენელის მეთერთმეტე მცნებაა. თით ეულ ოჯახში ეს მცნება მტკიცეთ ინახება.

მაგრამ ვამბობთ ოჯახი და კი არ გვითქვამს, ვისგან შედგება აქაური ოჯახი. ამას შეადგენენ ქმარი, ცოლი და შვილები და იშვიათათ ქმრის დედა. სხვა მოყვრებ ნათესავებს აქაურ ოჯახში ვერ ნახავთ. როცა ოჯახის მოყვარე-ნათესავი მოდის, სხვა ქალაქიდან, თუ სოფლიდან, ის სასტუმროში ჩამოხტება. ოჯახში სტუმრობა, ღამის გათევა, გამასპინძლება მიუნხენელმა არ იცის, ეს მის ჩვეულებაში არაა. ყველა თავისთვის ცხოვრებს და ზრუნავს.

ᲭᲐᲛᲐ ᲐᲥ ᲛᲔᲢᲐᲗ ᲧᲐᲘᲠᲐᲗᲘᲐᲜᲘ, ᲛᲔᲢᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲐ, ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲐ ᲘᲛᲕᲘᲐᲗᲘᲐ. ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲡᲐᲛᲯᲔᲠ ᲭᲐᲛᲡ. ᲓᲘᲚᲐᲡ ᲧᲐᲕᲐ ᲠᲫᲘᲗ ᲓᲐ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲞᲣᲠᲘᲗ, ᲨᲣᲐᲓᲦᲔᲖᲔ ᲡᲐᲓᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲔᲐᲮᲨᲐᲛᲘ.

ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲘ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲐᲠ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲒᲐᲠᲔᲓᲐᲜ, ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲐᲥᲕᲗ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ. ᲘᲥ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲘᲐᲤᲐᲗ ᲯᲓᲔᲑᲐ. ᲘᲐᲤᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲣᲚ ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ. ᲡᲣᲠᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲬᲕᲔᲜᲘ ᲜᲣ ᲒᲒᲝᲜᲘᲐᲗ. ᲐᲥ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲬᲕᲔᲜᲡ ᲔᲕᲔᲠ ᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ. ᲐᲥ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲬᲕᲔᲜᲘ—Brodsupe. ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲛᲝᲮᲐᲠᲨᲣᲚᲘᲐ ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲛᲐᲠᲪᲕᲐᲚᲘ ᲑᲠᲘᲜᲯᲘ, ᲞᲣᲠᲘᲡ ᲜᲐᲛᲢᲕᲠᲔᲕᲔᲑᲘ, ᲪᲝᲢᲐ ᲛᲬᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ, ᲐᲘ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ „ᲡᲣᲞᲘ“; ᲐᲠᲪ ᲛᲐᲠᲘᲚᲘ, ᲐᲠᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲛᲔ ᲡᲐᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ. ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲒᲔᲛᲝ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ. ᲨᲔᲛᲬᲕᲐᲠᲘ ᲮᲝᲠᲪᲘ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲓᲐᲗ ᲑᲔᲕᲠᲘᲐ, ᲛᲐᲠᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲗ ᲘᲥ ᲮᲝᲠᲪᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪ ᲐᲠ ᲛᲝᲘᲠᲝᲕᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲐᲚ., ᲐᲥᲐᲣᲠᲘ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲨᲔᲛᲬᲕᲐᲠᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲐ Kalbsbraten—ᲮᲑᲝᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ, ᲨᲔᲮᲔᲓᲐᲗ—ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲭᲔᲠᲘᲐ, ᲛᲐᲠᲐ ᲜᲐᲭᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲣᲐᲨᲘ ᲒᲣᲚ-ᲦᲕᲘᲫᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲒᲚᲔᲯᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲨᲘᲒ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲪᲝᲛᲘ ᲩᲐᲣᲢᲔᲜᲘᲐᲗ. ᲔᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲡ ᲐᲢᲧᲣᲔᲑᲡ. ᲒᲒᲝᲜᲘᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲨᲔᲕᲭᲐᲛᲔᲗ ᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲒᲝᲜᲘᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲫᲚᲔᲑᲘ. ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲗ ᲙᲘ ᲛᲨᲘᲔᲠᲘ ᲮᲐᲠ. ᲔᲠᲗᲘᲐ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲐᲠᲐᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲫᲘᲛᲔᲑᲣᲚᲐᲗ ᲐᲠ ᲒᲠᲫᲜᲝᲑ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲕᲘᲗᲝᲛ ᲢᲙᲑᲘᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲘᲐ, ᲛᲐᲠᲐ ᲔᲡ ᲘᲡᲔ ᲪᲝᲢᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲚᲐᲗᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲦᲘᲠᲡ.

ᲔᲐᲮᲨᲐᲛᲘ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲐᲗ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ 7 ᲡᲐᲐᲗᲖᲔᲐ. ᲐᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲪᲘᲚᲓᲔᲑᲐ. ᲗᲣ ᲡᲐᲓᲘᲚᲖᲔ ᲬᲕᲔᲜᲡ ᲓᲐ ᲮᲝᲠᲪᲡ ᲭᲐᲛᲔᲜ, ᲔᲐᲮᲨᲐᲛᲖᲔ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲔᲡ ᲐᲦᲐᲠᲐᲐ. ᲔᲐᲮᲨᲛᲐᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲚᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲫᲔᲮᲕᲘ. ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲗ ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲨᲘ ᲭᲐᲛᲐᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲧᲣᲠᲐᲦᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲥᲪᲔᲕᲔᲜ. ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲔᲚᲛᲐ ᲠᲐᲘᲛᲔᲗᲘ ᲙᲘ ᲐᲛᲝᲘᲕᲡᲝᲡ ᲛᲣᲪᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲚ ᲔᲠᲗᲘᲐ, ᲫᲔᲮᲕᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲗᲣ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲑᲘᲤᲨᲢᲔᲥᲡᲘᲐ. ᲛᲔᲢᲐᲗ ᲒᲐᲣᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘᲐ ᲭᲐᲛᲐᲨᲘ. ᲬᲔᲡᲐᲗ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲡᲐᲛᲯᲔᲠ ᲭᲐᲛᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲠᲐ ᲐᲛ ᲬᲔᲡᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲠᲝᲪᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲘᲒᲓᲔᲑᲡ, ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲭᲐᲛᲡ. ᲭᲐᲛᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ, ᲑᲐᲦᲨᲘ, ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ, ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ..

ᲗᲣ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲡ ᲐᲡᲔ ᲪᲝᲢᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲥᲪᲔᲕᲡ ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲔᲚᲘ, ᲔᲡᲔᲕᲔ ᲐᲠ ᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲬᲘᲓᲐᲪ, ᲘᲡ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲡ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲐ ᲙᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ. ᲐᲥᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲚᲣᲓᲘᲐ. ᲠᲝᲪᲐ 1—2 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲐᲔᲨᲕᲔᲑᲡ ᲚᲣᲓᲡ ᲐᲡᲛᲔᲕᲔᲜ, ᲠᲐᲚᲐ ᲒᲐᲡᲐᲙᲔᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲘᲓᲔᲑᲡ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲔᲗ ᲚᲣᲓᲘᲡ ᲡᲛᲐ. ᲓᲘᲚᲘᲗ ᲐᲮᲚᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲚᲔᲘᲫᲔᲑᲣᲚ ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲭᲘᲥᲔᲑᲘᲗ ᲚᲣᲓᲘ ᲛᲝᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ. ᲚᲣᲓᲘ ᲘᲐᲤᲘᲐ, ᲚᲘᲢᲠᲐ 12 ᲙᲐᲞᲔᲘᲙᲐᲗ. ᲧᲐᲕᲐᲡ ᲚᲣᲓᲡ ᲓᲐᲐᲢᲐᲜᲔᲜ ᲐᲜ ᲯᲔᲠᲬᲚᲣᲓᲡ ᲓᲐᲚᲔᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲧᲐᲕᲐᲡ. ᲡᲐᲓᲘᲚᲖᲔ ᲓᲐ ᲔᲐᲮᲨᲐᲛᲖᲔ ᲣᲚᲣᲓᲝᲗ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ. ᲓᲘᲓᲘ-ᲞᲐᲢᲐᲠᲐ—ᲧᲕᲔᲚᲐ ᲚᲣᲓᲡ ᲡᲔᲐᲛᲡ. ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲑᲐᲔᲨᲘ ᲡᲔᲐᲛᲡ ᲡᲐᲓᲘᲚᲖᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲚᲘᲢᲠᲐᲡ, ᲐᲛᲓᲔᲜᲡᲐᲕᲔ ᲔᲐᲮᲨᲛᲐᲗ. ᲓᲔᲓᲐ ᲝᲠ ᲚᲘᲢᲠᲐᲡᲐᲪ. ᲔᲡ ᲧᲐᲠᲐᲗᲘᲐ.

ᲤᲐ. ᲞᲐᲢᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲘᲓᲐᲜ.

III.

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲞᲠᲝᲞᲝᲠᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲦᲔᲑᲐ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲓᲘᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲡ. ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ ᲘᲛᲐᲨᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲔᲛᲝᲡᲘᲡ (ᲮᲐᲚᲮᲘᲡ) ᲮᲔᲚᲨᲘᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ-ᲡᲣᲕᲔᲠᲔᲜᲘᲢᲔᲢᲘ,— ᲗᲕᲘᲗ ᲮᲐᲚᲮᲘᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ-ᲛᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ-ᲛᲝᲮᲔᲚᲔᲔᲑᲘ— ᲛᲘᲡᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲛᲝᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲔᲐ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲐ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲜᲐᲘᲠᲐᲗ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲡ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ, ᲘᲡᲔ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲙᲐᲜᲝᲜ-ᲛᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲝᲜ ᲔᲠᲡ ᲓᲐ ᲰᲙᲘᲗᲮᲝᲜ ᲛᲐᲡ: ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲗ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜ-ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲡ. ᲙᲐᲜᲝᲜ ᲛᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲐᲐ ᲗᲔᲐᲚᲧᲣᲠᲘ ᲐᲓᲔᲕᲜᲝᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲕ-ᲙᲐᲠᲒᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲛ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲬᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲤᲐᲠᲓᲝᲡ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ, ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲛᲐᲠᲐ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ, ᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲔᲜ ᲔᲠᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲜᲘ. ᲔᲡ ᲔᲠᲗᲝᲑ ᲫᲜᲔᲚᲘᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲗ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲩᲐᲘᲒᲓᲝᲡ, ᲨᲔᲛᲝᲘᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲡ ᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲡ ᲣᲙᲔᲗ ᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲜ, Ე. Ი., ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲘᲚᲕᲬᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲘᲚᲐᲜᲗᲠᲝᲞᲘᲣᲚ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲨᲛᲔᲛᲐᲢᲙᲘᲔᲠᲝᲑᲐᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲛᲝᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲔᲠᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲘᲧᲕᲔᲜ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲜᲘ. ᲔᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲔᲡ ᲨᲕᲘᲓ ᲙᲐᲜᲢᲝᲜᲨᲘ (ᲢᲔᲡᲘᲜᲨᲘ, ᲜᲔᲕᲨᲐᲢᲔᲚᲨᲘ, ᲪᲣᲒᲨᲘ, ᲮᲝᲚᲔᲠᲨᲘ, ᲑᲔᲠᲜᲨᲘ, ᲤᲠᲘᲑᲣᲠᲒᲨᲘ ᲓᲐ ᲭᲔᲜᲔᲕᲐᲨᲘ). ᲓᲦᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲙᲐᲜᲢᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲐ. ᲐᲘ, ᲔᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ: ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲝᲚᲥᲘ ᲘᲠᲩᲔᲕᲡ ᲗᲘᲗᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲡ, ᲠᲐᲡᲐᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲔᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲣᲛᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲐ.

ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ ᲠᲝᲓᲘᲐ ᲢᲔᲠᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲐᲗ ᲒᲐᲜᲪᲐᲚᲙᲔᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲝᲚᲥᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲒᲠᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ; ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲐᲠᲔᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲗ ᲘᲛᲕᲘᲐᲗᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲨᲘ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲛᲔ ᲝᲚᲥᲨᲘ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲓᲔᲡ. ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ ᲗᲘᲗ-

ქმის ყველა ოლქებში ერთი და იგივე პოლიტიკური პარტია აჯარბებს; ამიტომ როდესაც თითო - ოლქი ირჩევს თითო დეპუტატს, თითქმის ყველა დეპუტატები მთელ სახელმწიფოში მხოლოთ ერთ პარტიას ეკუთვნიან. ამ სისტემით, ერთი ხმით უძლიერესი პარტია ხდება სახელმწიფოში ერთათ ერთ ბატონათ და სრული უფლების მქონე გამგეთ ერთი ხმით უმცირესი პარტია კი რჩება ყმათ, უფლებას სრულიად მოკლებული, ერთი ხმით უმრავლესი პარტიისა. ზემოხსენებულ შვეიცარიის შვიდმა კანტონმა ამ გვარი სისტემა არჩევანისა იცნო უვარგისათ და უსამართლოთ. შვეიცარიელი ამბობს: ყველა მოქალაქე იხდის სახელმწიფო გადასახადს, ყველა ემსახურება სამშობლოს, მაშ რისთვისაა უმცირესობა უმრავლესობის ყმათ ქცეული და მოკლებული საშუალებას იყოლიოს სახელმწიფო საბჭოში თავისი ინტერესების დამცველი. ვისაც ვალდებულება ადევს, იმას უფლებაც უნდა ჰქონდეს, რომ წინა აღუდგეს მის დასაჩაგრავათ მიმართულ ბოროტ-მოქმედებას. მარა უფლებაცაა და უფლებაც. თუმცა ყველა პარტიას აქვს უფლება, თუ კი შეძლებს, გაათეთროს თავისი კანდიდატი, მარა ამნაირი არჩევანის სისტემასთან ეს უფლება ფიქციაა. გარდა ამისა ამ სისტემით ამორჩეული დეპუტატების გადაწყვეტილება ერის უმრავლესობის სურვილის გამომხატველიც არაა. ამ სისტემასთან ეს უმრავლესობაც ნამდვილი ფიქციაა. ვთქვათ, დეპუტატები თითქმის ერის ნახევარს წარმოადგენენ (ამნაირი შემთხვევა ხშირია; ამის მაგალითი წელსაც მოგვცა საფრანგეთმა და ბელგიამ. საფრანგეთში დეშანელმა გაიმარჯვა პირველჯერ ერთი ხმის უმრავლესობით, მეორეჯერ სამის). ამ დეპუტატების მ ერ შემუშავებული კანონები ეთანხმებოდენ იქნება ერის უმრავლესობის ინტერესებს იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონები ყველა დეპუტატებისაგან ერთი ხმით იქნებიან მიღებული, მარა ეს ასე, როგორც კარგათ ვიცით, თითქმის არასოდეს არ ხდება. ჩვეულებრივათ ახალი კანონ-პროექტი იწვევს კამათს, დეპუტატები იყოფიან ორ ბანაკათ და რომელ მხარეზედაც მეტი რიცხვია, ის მხარე იმარჯვებს. კითხვას წყვეტს დეპუტატთა უბრალო უმრავლესობა; მაგ. თუ დეპუტატთა რიცხვი ორასია, საქმე გადაწყდება ისე, როგორც 101 სურს.

სულ სხვა სურათს გვიხატავს პროპორციონალური წარმომადგენლობა. საბჭოებში ჩვენ ვხედავთ ყველა ცოტაოდნათ საყურადღებო პარტიების წარმომადგენლებს. რამდენათ პარტია მეტ რიცხვს შეიცავს იმდენათ მეტ დეპუტატს ირჩევს და მაშასადამე იმდენჯერ მეტი ხმაც აქვს. საბჭოში ყველა პარტიას ჰყავს თავისი დამცველი. უძლიერეს პარტიამ მარტო მისთვის სასარგებლო და დამარცხებულისთვის მავნე კანონის შემოტანა თუ მოინდომა, პატარა პარტიები შეკავშირდებიან და გააშავებენ მის წინადადებას. მოწინააღმდეგეები იძულებულნი არიან ერთმა მეორეს დაუთმონ, კომპრომისს მიმართონ და ისეთი ცვლილებები მოახდინონ და კანონები შემოიტანონ, რომელნიც ერის ნამდვილ უმრავლესობის ინტერესებს უფრო ნაკლებათ ეწინააღმდეგებიან. ამნაირ პირობებში მოხდენილი ცვლილებები თავის დღეში არ შეიძლება იქნეს მარტო ერთი დასის სურვილის გამომხატველი. ვინ იგებს პროპორციონალური წარმომადგენლობის სისტემის შემოტანით? რასაკვირველია არა კონსერვატორიული პარტია და არც ის პარტია, რომელსაც ხელთ უპყრია სახელმწიფოს გამგეობა. ეს სისტემა მოწინავე დასებს და დაჩაგრულებს აძლევს საშუალებას მოითხოვონ სამართალი და მისცენ გზა ფართო ახალი პირობებისაგან წამოყენებული კითხვების გამოკვლევას, ამ პირობების შესაფერ ცვლილებათა მოხდენას, მათი შესაფერი პრინციპების ცხოვრებაში გატარებას. შვეიცარიის კანტონები ძლიერ კმაყოფილი არიან ამ სისტემის შემოღებით, რომელმაც ძლიერ გაუადვილა მათ პოლიტიკური ცხოვრების განვითარება და ეკონომიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

დ. თოფურიძე.

ქ. ჟენევა.

ეს ძველი ფულია.



(ჯუმდენი სიდოუნს)

გაგრძელება *)

ელუა ჩაფიქრდა, იმას გაგონილი ჰქონდა ვანუა ნახშირაძის ამბავი, დარწმუნებით იცოდა, რომ ვანუას მამა მართლა მდიდარი გლეხი იყო და თითონ ვანუაც პირველ ვაჭრათ ითვლებოდა ტყიბულში. იცოდა, რომ მისი ქალი ბედნიერი იქნებოდა, თუ ეს საქმე მოხერხდებოდა.—ხედავდა იმასაც, რომ საქმე ადვილათ კეთდებოდა, რადგან, როგორც ვიცით, მას სამას მანეთამდე ფული ჰქონდა და ეზო და სახლი კიდევ სხვა იყო.

*) იხ. „კვალი", № 33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხასი მანეთის მეტი ხომ მაჭანკალსაც არ უთხოვნია, მაშ რაღა იყო მიზეზი მისი ფიქრისა?

მიზეზი ის იყო, რომ ეშინოდა: ვაი, თუ საქმე არ გაკეთდეს და, ფული რომ მაქვს, ეს კი ქვეყანამ გაიგოსო.

— რას ჩაფიქრებულხარ? დაეკითხა მაჭანკალი:— ფიქრი ფულს არ მოგვიტანს და ეს საქმე კი ისე არ გაკეთდება. მე მისთვის გითხარი ეს, რომ მეგონა, რამდენიმე ფული მაინც გექნებოდა ან ქმრის დატოვებული და ან მერე ნაშოვარი ხარების და ძროხის ფასი.

პელუამ იგრძნო, რომ ამ ჟამათ უსაფუძვლო იყო მისგან ამ კაცის უარით გასტუმრება. ან კი როგორ მოახერხებდა ქალის გათხოვებას, თუ არავის გაუმხელდა თავის ქონებას!

— ძმაო! თუ კეთილი გულით ხარ ჩემთან მოსული, ღმერთი ნაცვლათ შენც კეთილს მოგცემს. თუ შენ ამ საქმეს გააკეთებ, მე გაგიტყდები, როგორც მოძღვარს, რომ სამას მანეთამდე ფულსაც მოვახერხებ; მეტი კი არც მაქვს და ვერც ვიშოვი.

მაჭანკალს თვალები გაუბრწყინდა. გულმა სიხარულით ძგერა დაუწყო. იმას წარმოდგენაც არ შეეძლო, თუ ამ ქვრივ დედაკაცს ამდენი ფული ექნებოდა. მისი ფიქრით ათი-თხუთმეტი თუმნის პატრონი თუ იქნებოდა პელუა, ამ საქმეს ამითიც გააკეთებდა, რადგან იცოდა, რომ ვანუა ნახშირაძეს ქალი ძლიერ მოწონდა.

— ბარაქალა, დედაკაცო! ყოჩაღ! ყოჩაღ! ღმერთმანი! ცხონდა შენი გამზრდელი! აფსუსია, შენისთანა ჭკვიანი ადამიანის შვილი უმზითვოთაც რომ არ შეირთოს კაცმა!.. მამა ნუ წამიწყდება ნამდვილი დედაკაცი ყოფილხარ, ჭკვიანობაც ეგ არის, რომ შენ ქონებას არავის უმხელდი, ქვეყანაზე რამდენი ავი კაცია; ვინ იცის, აქამდის რა უბედურება დაგატყდებოდა, რომ შენი ქონება ქვეყანას ცოდნოდა. აწი კი ნუ გეშინია: მე ამ საქმეს ამ კვირეშივე გავაკეთებ და მერე რაღა გიშავს? შენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს, ისე შეგინახავს სიძე.

სტუმარი გამოემშვიდობა პელუას და გახარებულმა გასწია ტყიბულისაკენ. მას თან ის უხაროდა, რომ ადვილათ აკეთებდა დავალებულ საქმეს და თან კიდევ ის უფრო, რომ კაი სამ „კაჭალ“ თუმანს მიიკრავდა გვერდზე სამაჭანკლოს, მზითვის ათის თავს.

ორ დღეს შემდეგ ისევ მოვიდა მაჭანკალი პელუასთან და შეატყობინა, საქმე გაკეთებულია და კვირას ჯვარის წერა უნდა იქნესო.

IX

პელუა შეუდგა საქორწილო მზადებას. მთელი სამი დღის განმავლობაში მისი ხელი არ დაწყნარებულა: ხან ხვეტდა, ხან გვიდა, ხან რეცხდა, ხან ჰკვრავდა, ხან ღომს ცეხვდა, ხან წისქვილში მირბოდა პურისა თუ სიმინდის დასაფქვავათ; თან შეშას იმზადებდა. ერთი სიტყვით მაცადინი იყო, რომ მისი ღათინას ბედნიერების დღეს ღირსეულათ დახვდომოდა და კიდევაც რიგიანი ქორწილი გადაეხადა.

კვირა დილას ქალი დაბანა, დავარცხნა, გამოაწყო საუკეთესო ტანისამოსით; სამჯერ დააბრუნა წაღმა, დაღოცა, მერე მისცა საჭირო დარიგება, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო მნახველებთან, და ჯვარის წერის დროს, დატოვა მეზობლის ტოლ გოგოებთან, თითონ კი მაშინვე საქმეს შეუდგა: ხელათ დააცხო პურები, დააკვლევინა, თუ ან ქათამი ჰყავდა, ან გოჭი, ან ცხვარი. ერთი სიტყვით არაფერს ზოგავდა, ოღონდ კი სტუმრებს კარგი მასპინძელი დახვედროდა. დილიდან საღამომდე შეუსვენებლივ საქმობდა და თან გულის ფანცქალით ლოცვებს ბუტბუტებდა:—იესო მაცხოვარო! კეთილი და ბედნიერი ჰქენი დღევანდელი დღე ჩემი ოჯახისათვის; შენ შეარგე ეს ჩემი ნამზადი ჩემ შვილსა და სტუმრებს დედის ძუძუსავითო.

დაღამდა კიდეც. პელუას გულის ცემამ უმატა, ის მთლათ ყურებათ და თვალებათ გადაიქცა და მოუთმენლათ ელოდა სანატრელ სტუმრების მოსვლას. აი, მოისმა ცხენების ფეხის ხმა. გაიღო ჭიშკარი და ეზოში ექვსი ცხენოსანი გამოჩნდა.

სტუმრების დანახვაზე ერთი რაღაც განუსაზღვრელი ალტაცების ხმა მოისმა პელუას გულიდან და თან თვალებზე ბრწყინვალე სიხარულის ცრემლები მოადგა.

— აბა, თქვენ იცით, ქალებო! როგორ მოილხენთო. მიაძახა პელუამ მეზობელ გოგოებს და გავარდა გარეთ სტუმრების მისაღებათ.

მაჭანკალმა თავაზიანათ გააცნო პელუა სასიძოს და სხვა სტუმრებს.

სასიძო ვანუა მართლაც კარგი ვაჟკაცი იყო. ბევრ ახალგაზდა სტუმარ ქალს დარჩა იმაზე თვალი და თითქმის შეშურდათ კიდეც ღათინას ამისთანა ბედნიერება.

პელუა შემოუძღვა სახლში სტუმრებს, დამხვდურები ფეხზე წამოდგენ და მოსულებს სალამი მისცეს.

— ღმერთმა ბედნიერი ჰქნას ჩვენი ფეხი ამ ოჯახში. შემოილაპარაკა კარებშივე სასიძოს მამამ.

— ამინ! გისმინოს ღმერთმა.—წაიბუტბუტა მადლობის ნაცვლათ მასპინძელმა.

საერთო სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა თვალებათ გადაიქცა.

— რას გაჩუმებულხართ? დაარღვია სიჩუმე ბო-

ლოს მაჭანკალმა. ჩვენ აქ გასაშინჯავი კი არაევინ გეყავს, ეს საქმე გაშინჯულიც არის, გაზომილიც და მოწონებულიც, ახლა ფული და საყდარ-; სხვა არაფერი გვაბრკოლებს.

ამ სიტყვებმა ყველას სახის გამომეტყველება მოჰგვარა, შეიქნა საერთო ფაც-ფუცი; პელუა, ციბრუტივით მოტრიალდა. გახსნა მუთაქის თავი, ამოიღო იქიდან რაღაც ათასნაირათ შეკონილი ქაღალდები, დადვა პატარა ოთხკუთხიან მაგიდაზე და ხელების კანკალით სხნა დაუწყო. სტუმრები მაგიდას შემოეხვიენ და თვალების ცეცებით უყურებდენ პელუას მოქმედებას.

ბოლოს, როგორც იყო, პელუამ გახსნა ნასკვი და შიგ ნაკეცი ქაღალდის ფული გამოჩნდა.

— ჰო! ჰო! ჰო! მოენახეთ მადანი. დაიძახა მხიარულათ მაჭანკალმა და ფულს გადასათვლელათ ხელი მოჰკიდა; მაგრამ ვაი საკვირველებავ!!! მაჭანკალს ფული ხელიდან გაუვარდა და გულშეღონებულმა სასოწარკვეთილებით დაიღრიალა:

— ეს ძველი ფულია!!

ამ სიტყვებმა ლახვარივით იმოქმედა მსმენელების გულზე. ყველას პირი ღია დარჩა და გარეტიანებული შეცქეროდენ მაგიდაზე დაფანტულ ქაღალდის გროვას.

პელუას გონება დაეფანტა. მას არ ესმოდა, რაში იყო საქმე, სტუმრებს ეჭვიანათ გადააღლო თვალები: უნდოდა დარწმუნებულიყო, ხომ არ მცდიანო, მაგრამ როცა დაინახა, რომ ყველას მეტის მღელვარებისაგან სახე გაფითრებოდა და შეხედა, რომ სანატრელი სტუმრები ერთი მეორეს ასწრებდენ გარეთ გასვლას, შინ წასასვლელათ, მაშინ კი მოაგონდა მას სოფელში გაგონილი სიტყვები „ახლა ძველ ფულს არ ღებულობენ არც ვაჭრები და არც ხაზინაო“, ეს მოგონება და პელუას გონების დაკარგვა ერთი იყო. ის იმწამსვე უსულოთ გაიშხლართა ტახტის წინ.

დიახ, პელუას სამასი მანეთი თითქის სულ „ძველი ფული“ გამოდგა; და ძველი ფული, აბა, ვის რათ უნდოდა.

X.

189... წელ სასოფლო სასამართლოების კედელზე ააკრეს რაღაც ქაღალდი, რომელიც აცხადებდა, რომ „189... წლის მაისის... რიცხვს შემდეგ ამა და ამ წლებში გამოსული ძველი ქაღალდის ფული წარმოებაში აღარ იქნება, და ვისაც ამისთანა ფული აქვს, უნდა გამოცვალოს ხაზინაშიო“.

ერთჯერ თუ ორჯერ მამასახლისმაც კი გამოცხადა ამის შესახებ რაღაცა, მარა არავის ყურადღება არ მიუქცევია, რადგან მაინცა და მაინც არავინ აგლეჯდა ჯიბეს არც ძველი და არც ახალი და მერე კიდე უფრო იმისთვის, რომ არავის ესმოდა, თუ რას უძახოდა მამასახლისი „ძველ ფულს“.

პელუას ფიქრათაც არ მოსვლია თავისი ფულის სიძველე. იმან ერთხელ ნიშნიც მოუგო ერთ თავის მეზობელს, რომელიც ამბობდა: „ის ოხერი ერთი მანეთი ძველი ფული გამომადგა და „ბორჩიკმა არ მიიღო.

— რათ დააძველა, იფიქრა გუნებაში პელუამ: არ იცის, რომ ხელმწიფის ფულს პატივით უნდა მოეეპყრათ! რომ მისრეს მოსრესენ და ხან გულ-ჯიბეში და ხან ქილაში ჩაიკუტავენ, არ იციან, რომ დატუკნული და დამწვარიანებული ფული აღარავის ენდომება!...

თითონ პელუას ქაღალდის ფულები კი ისე ფაქიზათ იყო შენახული მთელი ათი თორმეტი წლის განმავლობაში, რომ სულ ტკიცინ-ტკიცინი გაჰქონდა. აბა, ამისთანა ფულის სიძველეს რა ენა იტყოდა პელუას აზრით... ის კი არ იცოდა უბედურმა, რომ ფულის სიძველეს თუ სიახლეს იმისდა მიხედვით არჩევდენ, თუ რომელ წელში გამოსულია ის.

ან საიდან ეცოდინებოდა ეს? რა „ციფრების და ქორონიკონის მცოდნე ის იყო, რომ ფულები გადაეშინჯა, დრო ხომ არ მიუდისო. „დრო გადასულიაო“ ეს სიტყვები ხან დაზმულ გაუთხოვარ ქალზე კი გაუგონია, თვარა ფულის დროზე გადასვლას როგორ წარმოიდგენდა უბედური? მე თქვენ გეტყვით და გაბედავდა სხვისთვის გაემხილა, ფულები მაქვს და გამიგე დრო არ მიუდიოდესო! ამას შიშით მაინც ვერ იზამდა, თუნდ მართლაც რაიმე ეჭვი დაბადებოდა თავის ფულების სიძველეზე.

დიახ, ამდენი დამაბრკოლებელი მიზეზი იყო ამ საქმეში, რის გამოც საწყალი ქალი სრულიად მოულოდნელათ თავზარ დაცემული შეიქმნა.

აბა, თქვენ წარმოიდგინეთ, სამასი მანეთის დაკარგვა ხუმრობა საქმეა, ამისთანა გაჭირვებული ადამიანისათვის და ისიც იმისთანა დროს, როდესაც ამ ფულზეა დამოკიდებული მისი მომავალი ბედიღბალი?!

სოფლის კაცი.

(შემდეგი იქნება)

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გისოვ ადგილი მისცეთ თქვენ ბატივ-ცემულ გაზეთის უმასლობელს

№-ში ამ ჩემ წერილს: წარსულ მაისში „კვალის“ 19 №-ში ბ. ქვარიანმა გამოიდასშქრა საჩხერის სამკითხველოს წინააღმდეგ. რადგანაც ეს გამოდასშქრება გამოიწვია ავტორის ბიბლიოთეკარობამ სამკითხველოს ერთ გამგეთან, ბ. ღამბაშიძესთან და სამკითხველო ბ. ქვარიანს ღამბაშიძის უნაგირი ეგონა, ამისთვის მის წერილს უურადღება არავინ მიაქცია, გარდა იმისა, რომ მას ამხანაგები დრო გამოშვებით ესუმრებოდენ ხოლმე: — უნაგირი

-ტერია თუ არაო?! შემდეგ ბ. ქვარიანი ამავე გაზეთის 26 №-ში კიდევ შეეხო უსამართლოთ ამავე სამკითხველოს.

ორივე წერილში ბ-ნი ქვარიანი ბრძანებს, რომ სამკითხველო „ჩხუბის ასპარეზათ არის გადაქცეულიო. მოჩხუბართ გამოჭყავს ბიბლიოთეკა და მეორეთ ბიბლიოტეკარი ი. ნიკარაძე.—არც ღამბაშიძეს და არც ნიკარაძეს სამკითხველოში არასოდეს არ უჩხუბნიათ, გარდა იმისა, რომ ღამბაშიძეს ლაპარაკი, და არა ჩხუბი, ჭქონია ი ნაბაშიძესთან და აქაც მიზეზი გახლდათ ბ. ქვარიანი. აი ამას უძახის ბ. ქვარიანი „სამკითხველო ჩხუბის ასპარეზათ გადაქცეულ“. რამ გამოიწვია ბ. ქვარიანი ამისთანა კომპლიმენტები შეასხას სამკითხველოს? იმან, რომ მას ბ. ღამბაშიძესთან ჭქონდა და აქვს ბიბლიოთეკის უმეურეობა და, რადგანაც ღამბაშიძე სამკითხველოს ერთი გამგეთაგანია, ვითომ ბ. ქვარიანმა თითონ დაიჭირა ის დიდ დანაშაულში. მისი უკმაყოფილება ღამბაშიძესთან იქამდის მივიდა, რომ მიუგზავნეს სამი ბატიეცემული ბიჭი რათა ქვარიანი გაჭყოლოდა მედიატორეთა სამართალში, რომელთაც უნდა გაერჩიათ მათ შორის ატეხილი უკმაყოფილება და მტკუანი მხარე გაეკიცხათ, მაგრამ ბ. ქვარიანმა დიდი უარი განაცხადა ამ სამართალში გაყოლისა, რის შემდეგაც თვისივე მეგობრებმა ქოქოლა მიაყარეს მას. აი ეს გახლდათ მიზეზი ბიჭეული მისი კორესპონდენციისა.

მეორე კორესპონდენცია სულ სიცრუეზეა აშენებული, ბიბლიოტეკარს ი. ნიკარაძეს არავისთან უკმაყოფილება არა ჭქონდა სამკითხველოში და არც არავინ გაუღანძღავს, გარდა იმისა რომ ამას წინეთ ერთ საჩხერელ №-ს, რომელსაც საუკრო ფული არა აქვს შემოტანილი სამკითხველოში, თანახმათ წესდებისა წიგნები არ მისცა სახლში წასაღებათ; ეს №-მა იწყინა და ცოტა უკმაყოფილო გამოვიდა სამკითხველოდან, ჩემთანაც მოვიდა ეს უკანასკნელი ამის შესახებ, მაგრამ იგივე პასუხი მივეცი რაც ნიკარაძემ. ეს იყო და ეს.

მიეკვირა, რათ დაავიწყდა ბ. ქვარიანს და ჩხუბობს არ მოანათლა ისიც, რომ მე ერთ კაკ-ბატონს ვთხოვე, თავისი ხმა მაღლა კითხვით სხვებისთვის არ დაეშალა კითხვა; კარგათ მოეხსენება ბ. ქვარიანს, რომ ეს კაკ-ბატონი დიდათ გაჯავრებული გამოვიდა სამკითხველოდან; მაგრამ გასაკვირველიც არ არის, რადგანაც ჩემთან მას (ქვარიანს) მისთანა უკმაყოფილება არა ჭქონია, როგორიც ღამბაშიძესთან და ი. ნიკარაძესთან. ბ. ნ. ქვარიანო! ერთი ეს მიბრძანეთ: ღამბაშიძესთან და ნიკარაძესთან რომ უკმაყოფილება გქონდეთ, სამკითხველოს რას ერჩით, როდესაც მას ჯერ არავისაგან არ დაუმსახურებია საყვედური?

ესეც მიბრძანეთ: რა უფლებით უწოდებთ თქვენ თავს სამკითხველოს წევრათ, როდესაც ეს მეორე წელიწადი გადის, სამკითხველოში ერთი კაპეიკი არ შემოგიტანიათ!? (წევრათ მხოლოდ ის ირიცხება ვინც სამ მანეთს შემოიტანს წლიურათ, იმას აქვს ნება წიგნები სახლში ატარონ საკითხავათ, სამკითხველოში კითხვა კი ყველას უფასოთ შეუძლია).

არაფერი კი არ უნდა გაგვიკვირდეს თქვენგან, მას შემდეგ, როდესაც იმასაც კი სწამებთ სამკითხველოს, რომ მკითხველები თანდათან აკლდებიანო. ამის პასუხათ საკმაოა დაგიბეჭდოთ დაბოლოს ამოწერილი ციფრები:

1 იანვრიდან 1 ივნისამდე—1896 წელში, გარდა წევრებისა, დღიური მკითხველი შემოსულა სამკითხველოში 129 კაცი. 1 იანვრიდან 1 ივნისამდე 1897 წ. 928 კაცი 1 იანვრიდან 1 ივნისამდე 1898 წ. 1122. კაცი თქვენვეშეადარეთ, რამდენი მკითხველი დაჭკლებია ამ უკანასკნელ დროში.

საჩხერის სამკითხველოს გამგე ე. ჩხეიძე.

საბავშო წიგნი

„პატარა ლორდი“

ჯეჯილის რედაქციის გამოცემა

თარგ. ელ. წერეთლისა

ფასი 30 კაპ.

იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში და თვით ჯეჯილის რედაქციაში.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-ძ

Доз. ценз. Тифлисъ, 14 Августа 1898 г. Тип. М. Д. Рот...іанца—ტფილისი. ბ. დ. როტინიანცისა Гол. пр. 1.